საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 9 22 0000503723

17/05/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 21 იანვრის №18706 “ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ,,მშენებლობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვის” გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი;

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 21 იანვრის №18706 “ა(ა)იპ-საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ,,მშენებლობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვის” გადაწყვეტილებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება, გადაწყვეტილების ნაწილს დაემატოს 1.1 პუქნტი:

„1.1 მიეცეს დაწესებულებას “საინჟინრო ტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (დარჩენილი ხუთი კვალიფიკაციით) აკრედიტებულ რეჟიმში განხორციელების უფლებამოსილება 2021 წლის 01 ივლისამდე.”

2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 17 მაისის №503233 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ 2 საქართველოს კანონის 24 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო 1 დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. N2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილების ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით